სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080189836518422

№ 654

24 / თებერვალი / 2022 წ.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 22 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა SMP220000580 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 2022 წლის 13 თებერვალს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების კონსტრუქტორის მიერ შესწავლის და შესაბამისი დასკვნების მომზადების მომსახურების შესყიდვას (CPV - 71300000 - საინჟინრო მომსახურებები), ღირებულებით 7000.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2022 წლის 13 თებერვალს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები. შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის დაზიანებულ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს. იმისათვის, რომ დროულად განხორციელდეს სახლების შეკეთება, აუცილებელია ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, 2022 წლის 13 თებერვალს მომხდარი ძლიერი

მიწისძვრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები. შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის დაზიანებულ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს. იმისათვის, რომ დროულად განხორციელდეს სახლების შეკეთება, აუცილებელია ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის SMP220000580 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე